ოქმი N2

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს მორიგი სხდომის

ქ. ოზურგეთი
2020 წლის 23 მაისი
12 საათი

თავმჯდომარეობდა: ლელა საჯაია-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე;

ესწრებოდნენ: ქეთევან ვასაძე-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანი; საბჭოს წევრები: მარიკა ჩხიკვიშვილი, გელა არუშიძე, ხათუნა ცერცვაძე, წანული ორაგველიძე, როზეტა სკამკოჩაიშვილი, ლალი სიჭინავა, მაია ზოიძე, ბახვა დოლიძე, ლევან ნინიძე, გენო ჩავლეშვილი, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე ლელა საჯაია მიესალმა საბჭოს წევრებს და განაცხადა, რომ საბჭოს მუშაობას ესწრება ყველა წევრი და საბჭო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. სხდომის თავმჯდომარემ დამსწრეთ გააცნო მორიგი სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 12 ხმით.

დღის წესრიგი:

1. ადგილობრივი ხელისუფლების გამოწვევები პანდემიის დროს და გენდერული თანასწორობის საბჭოს ჩართულობა მოქალაქეებთან კომუნიკაციის პროცესში;
   მომხსენებელი: ლელა საჯაია;
   თანამომხსენებელი: მარიკ;ა ჩხიკვიშვილი

საბჭოს თავმჯდომარემ ლელა საჯაიამ სხდომის დამსწრე პირებს ესაუბრა ადგილობრივი ხელისუფლების გამოწვევებზე პანდემიის დროს და აღნიშნა, რომ ამ რტულ პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყველა სერვისი ეფექტურად მიეწოდოს მოქალაქეებს, გამჭვირვალე გახადოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, მიიღოს მოქალაქეებისგან უკუკავშირი და ჩართოს მოქალაქეები გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამისათვის აუცილებელია მერიისა და საკრებულოს ონლაინ რესურსების გამოყენება და გაძლიერება, წერილობითი განცხადებების ონლაინ მიღება წინადადებებთან/ საჩივრებთან დაკავშირებით, ფინანსური და მატერიალური დახმარების მისაღებად განაცხადების წარდგენისათვის.

ლელა საჯაიამ აღნიშნა, რომ უმნიშვნელოვანესია ამ დრომდე შეგროვებული მონაცემების , მათ შორის , პანდემიის დროს, ადგილობრივი ცხელი ხაზის მეშვეობით მიღებული ინფორმაციის სისტემატიზაცია, შეხვედრების, თემატური დისკუსიებისა და მოსახლეობასთან სხვა სახის კომუნიკაციის შედეგად იდენტიფიცირებული საკითხების მონაცემთა ბაზის შექმნა, საკითხების პრიორიტეტიზაციის შემდეგ, შესაბამისი ინიციატივებისა და რეკომენდაციების მომზადება. ასევე იმ საკითხების ცალკე აღნუსხვა, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებას სცილდება და საჭიროებს

ცენტრალური ორგანოების რეაგირებას და მათ გადამისამართებას შესაბამის პირებთან და უწყებებთან.

საბჭოს წევრებმა 12 ხმით მხარი დაუჭირეს გენდერული თანასწორობის ინიციატივებს Covid-19- ის პერიოდში საკრებულოსა და მერიის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით.

2. ინდივიდუალური კონსულტაციები ფრაქციებთან და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან მოქალაქეთა საჭიროებებზე დაყრდნობით საბიუჯეტო ინიციატივების შემუშავებაზე;

მომხსენებელი : ლელა საჯაია;

თანამომხსენებელი : მარიკა ჩხიკვიშვილი;

მომხსენებელმა სხდომის მონაწილეებს გააცნო დაგეგმილი ერთობლივი სამუსაო შეხვედრის შესახებ ინფორმაცია, რომელიც ითვალისწინებს 2021 წლის საბიუჯეტო პროცესსა და 2021 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის შემუშავებაში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფას. შეხვედრის ორგანიზება განხორციელდება NDI-ის ჩართულობით. შეხვედრას კოორდინაციას გაუწევს მოწვეული კონსულტანტი: ნინო ლოლაძე, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტიდან (GIPA).

ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა;

ლელა საჯაია----------/ლ.საჯაია/

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე